საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 1032-03
02.08.2024

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე 2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველ პირთათვის შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების პირობებისა და თარიღების დამტკიცების შესახებ

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წესდების 26-ე მუხლის მე-3 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ რექტორის 2024 წლის 26 ივლისის N 996-03 ბრძანების გათვალისწინებით

ვბრძანებ

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ტექნოლოგიის სკოლის საბაკალავრო საგანმანთლებლო პროგრამებზე: **“კომპიუტერული მეცნიერება (ძირითადი სპეციალობა)”** და **„სამოქალაქო ინჟინერია (ძირითადი სპეციალობა) (ინგლისურენოვანი)**“ აგრეთვე, სამაგისტრო საგანმანთლებლო პროგრამაზე: **„თანამედროვე მათემატიკის ძირითადი პარადიგმები და გამოყენებები“** მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველთათვის შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა ჩატარდეს გასაუბრების ფორმატით და მის ძირითად მიზნად განისაზღვროს დარგობრივი ცოდნისა და მოტივაციის შეფასება. ამასთან, სამაგისტრო საგანმანთლებლო პროგრამაზე **„პროგრამული ინჟინერია“** ჩარიცხვის მსურველთათვის შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა ჩატარდეს წერითი ფორმატით, ამასთან, აუცილებელია ინგლისური ენის

ცოდნის დადასტურება (მინიმუმ B2 დონე). ენის ფლობა შეიძლება დადასტურდეს სერტიფიკატით ან შემოწმდეს უნივერსიტეტის ენების ცენტრის მიერ.

2. საბაკალავრო საგანმანთლებლო პროგრამებზე: „კომპიუტერული მეცნიერება (ძირითადი სპეციალობა)“, „სამოქალაქო ინჟინერია (ძირითადი სპეციალობა)(ინგლისურენოვანი)“, აგრეთვე, სამაგისტრო საგანმანთლებლო პროგრამებზე: „პროგრამული ინჟინერია” და „თანამედროვე მათემატიკის ძირითადი პარადიგმები და გამოყენებები” , მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველთათვის შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის საგამოცდო პერიოდად განისაზღვროს 17 სექტემბერი, ხოლო სააპელაციოდ 18 სექტემბერი.
3. შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა ჩატარდეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის T კორპუსის 206 ოთახში.
4. დეტალური ინფორმაცია შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის დროის შესახებ უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსდეს არაუგვიანეს 16 სექტემბრის სექტემბრის 18:00 საათისა.
5. შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის შედეგები უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდეს არაუგვიანეს 17 სექტემბრის 18:00 საათისა.
6. მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველებმა საპრეტენზიო განაცხადები ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე გადმოაგზავნონ შემდეგ ელ. მისამართზე bte@iliauni.edu.ge 18 სექტემბრის 18:00 საათის ჩათვლით.
7. განმეორებითი გამოცდის პერიოდად განისაზღვროს 19 სექტემბერი.
8. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოთ ამ ბრძანების გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის გაცნობა დაინტერესებულ პირთათვის;
9. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, იურიდიულ სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, მატერიალური რესურსების სამსახურს და ყველა დამხმარე ადმინისტრაციულ სტრუქტურულ ერთეულს.

ნიკოლოზ ყაველაშვილი



დეკანი